

572
1991



იბრძოლეს, იღავეს
სამშობლოს ბედისთვის,
(სამშობლოს სიუარულს
ტაში არ სჭირდება),

დაბრუნდნენ ალგეთში
და ისევ დედის წინ
დადგნენ და, კვლავ ექცნენ
მატარა ბიჭებად.

ბიჭა

1991 წ. აპრილი № 4

„დილის“ თანამშრომლები ჟურნალის სააპრილო ნომერს ვამზადებთ! აპრილის ნომრის მომზადებას რა დიდი ამბავი უნდა! — ზამთარი წავიდა, ყველაფერი ყვავის, მოღონიერებული ნაკადულები და მდინარეები მოდიან, მოიმდერია. ჩიტების ჟივჟივია ირგვლივ. ორიოდ დღე და მერცხლებიც მოფრინდებიან სამხრეთიდან. სად იყვნენ, რა ნახეს, რა გადაიტანეს, თან რა გატაცებით შეუძლიათ თხრობა, ყვადღერილებს, ფრთებოდნავშეზიდულებს...

... მაგრამ აღვილი იყო ეს წინათ, 1989 წლის აპრილამდე. ახლა კი 1991 წელია...

ჩვენი წიგნის თაროზე დევს დიდი, შავი, პრიალა წიგნი — ყუახე თეთრად არის დაბეჭდილი, ყდაზე — წითლად, თითქოს სისხლით — „9 აპრილი“. ყდაზე ძალიან სიმბათიურ ქალს სანთლები უნთია და თითებით უმყუდროებს, ნიაგმა არ ჩაუქროს. ქალი შემაწუხებლად არის ჩაფიქრებული...

შიგნით, წიგნის ფორზაცზე ადამიანთა დიდუბებული ზღვა დგას. ადამიანების ფონზე მარცხნივ დროშებია აწეული, აქეთ, მარჯვენა მხარეს კი ნიჩბებია — წითელი, შავი და თეთრი ვეება ნიჩბები — მღუძმარედ მომლოდინენი ბრძანებებისა. წიგნის შმუცტიტულზე დაბეჭდილია ილიას ხელნაწერი:

„ჩემო კარგო ქვეყნავ, რაზედ მოგიწევინა? აწყო თუ ჩვენ არ გვწვალაობს, მომავალი ჩვენია“.

ლექსის დაბლა კი გამომცემლობა „მერანის“ სიმბოლო — თავაწყვეტილი რაში... შმუცტიტულის მეორე გვერდზე კვითხულობთ: „ამ წიგნის მოგებიდან 350 ათასი მანეთი მოხმარდება საქველმოქმედო საქმეს. და იცით, რა არის ეს საქველმოქმედო საქმე? ქვემო ქართლსა და ჯავახეთში მრავალშვილიანი ქართული ოჯახებისათვის სახლების შექმნა.“

ეს წიგნი ედღვნება 1989 წლის 9 აპრილს, დღეს, რომელიც „მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთ მძიმე ჭრილობად“.

აქ დაბეჭდილია წერილები გლოვისა 9 აპრილს დაღუპულთა გამო, წერილები და ლექსები თავზარდაცემულთა...

მერე წიგნში ფოტომასალები მოდის: აი, ლენინი თბილისის მთავარ მოედანზე — ლენინი პიედესტალზე დგას. ხელი წინა აქვს გაშვერილი, მის ფეხებთან თითქოს გაფიცრულ ტანკებსა და ჯავშანოებსაც წინა აქვთ გაწვილი ზარბაზნები.

მერე — ხალხის ზღვა, სულ პირველ პლანზე კი ჩვენკენ ზურგით, — რუსული მხრები. რუსული მტკიცე სამხედრო მუნდირი და, რაც მთავარია, ყალიბის მრგვალციანი, მაგარი სამხედრო კეპი... ეს ჩუმი სურათიც ძალიან ბევრის მთქმელია. არის კიდევ ერთი ძალიან დასამა-

სსორებელი ფოტო: ორი მთლად ყმაწვილი ჯარისკაცი — ძნელია თქვა, რა რჯულისა არიან, ღამაზები კი არიან, ძალიან. ერთი რაღაც შემაღლებასთან ზის, მეორე წინ წამოსულა, დგას, მარჯვენა ხელში რეზინის ხელკეტი უჭირავს, დაშვებული, ზუჩივით რაღაც ახურავს, თითქოს „სმენაზე“ დგას და ისეთი აუწერელი სევდით იყურება, გინდა, მიწა გაგისკდეს.

მერე კი მოჯანყენი, ერთმანეთში არეულნი, ლოზუნგებით: „დამოუკიდებლობა საქართველოს“, „საქართველო — ქართველებს“ და სხვა... ..მერე ჯავშნოსნები; მერე — დახოცილები... მერე მგლოვიარე ქართველები, ყვავილებით მოფენილი მოედანი, კლასიკურად მტირალი თეთრთმიანი ქალები; და ბოლოს, შესაფიცავად მძალა ამართული მუშტები. რკინის რომ გგონია კაცი, ცრემლები ჩამოსდის ღვარად. დააფრიანებენ დროშებს, მოწოდებებს, ვიღაც ერთს აგინებს ყველა... აგინებს რუსეთის იმპერიას, რომელმაც გამოუშვა სისხლის დასადგურელად იმპერიის მიერ გაწვრთნილი ჯარისკაცები. იმათ დაღვარეს 9 აპრილს ჩვენი სისხლი, დაღვარეს ხელებში ფართა და გალესილი ნიჩბე-

ბით. ისინი კი, ვისი სისხლიც დაიდგარა, დაიღუპნენ ხმამაღლა ნათქვამი სიტყვებისათვის: „თავისუფლება“, „დამოუკიდებლობა“, „კაცთმოყვარეობა“... ამიტომ აღარ გამოდის აპრილში თავისუფალი სუნთქვა...


დღეს ჩვენ, ქართველებმა, დიდ მიზანს მივადწიეთ, ეროვნული პარლამენტი შევქმენით. ეს ყველას ეამაყება, მათ შორის, მეც. მაგრამ წართმეული სუნთქვა ყველას ჯერ თან სდევს.

ვაჟა ფშაველას აქვს ასეთი რამ თავის ნაწერებში: „უპირველეს ყოვლისა, სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას. მონობა სიკვდილია, თავისუფლება კი — სიცოცხლე და ბედნიერება“. ვაჟა ფშაველას ეს სიტყვები ჰქონია დევიზად რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართულ გადმოცემებს.


შავი დიდი წიგნი წითელი სისხლიანი წარწერით „9 აპრილი“...

ამ წიგნის მიხედვით და კიდევ სხვა მასალებით გაიმბობთ, ბავშვებო, „დილის“ ამ ნომერში, 9 აპრილზე, მრავალ განსაცდელს გადარჩენილი საქართველოს უკვდავ სულზე, საქართველოს იმედიანობაზე, ღვთივკურთხეულობაზე, სიმადლეზე!..

რეჟაზ ინანიშვილი



საქართველოს
საგარეო
ბიზნესობსება




სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ღღეს არის ჩვენი გლოვა და სულის ზეიმი.

ღღეს არის 9 ანრილის ტკივილი და ჩვენი სულიერი ამაღლება. მრავალგზის უნახავს განსაცდელი საქართველოს, მრავალგზის შემოსევია მტერი საქართველოს, მრავალჯერ უნდოდათ გადაეტყნათ წელში საქართველო, მაგრამ ვერ შეძლეს. ჩვენი მფარველი იყო და მარად იქნება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა, რომლის წილხვედრია ღვთივკურთხეული საქართველო.

უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II




26324 ნიჟარაძე

გვამღეს!

თავს დატედა უხაშველო წვევლა

და დღეს
 გუთქმის
 სამდურავი
 მწარე,
 ო, მამულო,
 დაღვარულო ცრემლად,
 მოგვიტყევა
 რომ ვერ
 დავიფარეთ.
 დაითაღნა შენი
 ზეცა ღუძი,
 შევიჩებულს ტირი
 შვილთა გვაძებს,
 უსინდისოდ
 ჩავაფურთხა
 სულში
 ბოროტებამ
 9 აპრილის
 ღამეს.
 დაჩეხილნი
 შენს მიწაში
 წვანან
 და დღეს ირგვლივ
 ზარია და
 გლოვა,
 მუკრამ გვამდეს —
 შურისგების ხანაც
 მოვა!
 მოვა!
 მოვა!
 მოვა!



თქვენ საქართველოს სიყვარულები დაიწყენით, თქვენ ღმერთში დაწიხით თქვენ ჯანში ხართ როგორც ვარჩხი



თამარ ზურავსკაია (16 წლისა) — მორწმუნე იყო. ყოველ აღდგომას მამასთან ერთად მოივლიდა სიონს, ქაშვეთს და წმინდანინოს ეკლესიას.

... სირბილით მივიდა რუსთაველის თეატრამდე. უკან ხელჯონიანი ჩარისკაცი მისდევდა. სალაროების კარი ღია დაუხვდა. შევარდა. ჩაიკეტა. მხეცმა ფანჯარა ჩამატერია. — ნუ მომკლავ, დედას ერთი ვყავარო — შეევედრა გოგონა. იმან კი ხელჯონის ცემით ელენთა გაუხეთქა, ნეკნები ჩაუშტვრია და ბოლოს კისრის ფუძე გადაუტეხა.

შვილმკვლარი დედა შვილს ვერ ეფერებოდა, ეშინოდა, ზედმეტი ტკივილი არ მიეყენებინა წამებული სხეულისათვის.

ნათია გაზალაიშვილი (16 წლისა) — თქვენ დიდი განსაცდელი გელით, აუცილებლად მოინათლეთ, თქვენ დიდი განსაცდელი გელით, — დაუინებთ უთხრა პატარა გოგონას უცნობმა ქალმა. ისიც მოინათლა — სიცოცხლის ბოლო დღეებში...



პაა ბაშაიშვილი (15 წლისა) — დამე ერთია და 16-ჯერ მინც გამომღვდიება, სულ ფოთოლცვენის წვიმაში დავდივარ, დედაო. ... თექვსმეტი წლის შესრულებას ვერ მოესწრო ეკა...

თამუნა დოლიძე (25 წლისა) — დედას ყოველთვის ურევავდა, როცა იგვიანებდა. იმ ღამესაც დაურეკა, არ შეგეშინდესო. მერე ცელოფანით სოღიანი ბამბები მოიმარაგა. იქ მყოფთ აშშვილებდა, ნუ გეშინიათ, ცრემლსადენ გაზებს გაუშვებენ, მეტს ვერაფერს გაბედავენო...





ახა აღამია (22 წლისა) — მთელი ღამეები დაჩოქილი იყო და
ლოცულობდა, დღე კი ქაშვეთის ეკლესიაში ანთებდა სანთლებს...



მანან მელქაძე (23 წლისა) — ღვთისმოსავი იყო. საქართველოს
მხოლოდ რწმენა გადაარჩენსო, — ამბობდა.

სიწმარში მამის საფლავი ენახა, გვერდით ვიღაცა დაესაფლა-
ვებინათ, შეწუხებულს გამოღვიძებოდა — საგვარეულო საფლავ-
ზე სხვას რა უნდაო.

დღეს თვითონ განისვენებს მამის გვერდით.



ნანო გიორგაძე (23 წლისა) — ერთხელ თეთრწვერა მოხუცი
გამოეცხადა, შენ ხარ ნატო გიორგაძეო? ჩემთან უნდა წამოხვი-
დე ამა და ამ რიცხვშიო. იმ მოხუცმა ისევ შეახსენა 9 აპრილის წი-
ნა ღამეს თავი.



მანანა ლოლაძე (33 წლისა) — სამ საათს არ გადავაცილებ, —
აუცილებლად მოვალ, ნუ გეშინიათო, — დაუბარა მშობლებს.



ნინო თორიძე (25 წლისა) — ესიზმრა, შავ ფეხსაცმელსა და კა-
ბას იცვამდა. ნეტავი რას ნიშნავსო — ყველას ეკითხებოდა.
მეგობრებს უხაროდათ: შავი სწრაფია და ალბათ მალე გათხოვდებიო.
სურათი გადაიღო. უთბრეს, ცხრაში გამოიარეო. ცხრაში იქ-
ნებ ცოცხალი არ ვიყო, უფრო ადრე თუ შეიძლებოაო.



ახა აღამია (22 წლისა) — მთელი ღამეები დაჩოქილი იყო და
ლოცულობდა, დღე კი ქაშვეთის ეკლესიაში ანთებდა სანთლებს...



მანანა მელქაძე (23 წლისა) — ღვთისმოსავი იყო. საქართველოს
მხოლოდ რწმენა გადაარჩინსო, — ამბობდა.

სიზმარში მამის საფლავი ენახა, გვერდით ვიღაცა დავესაფლა-
ვებიანთ, შეწუხებულს გამოღვიძებოდა — საგვარეულო საფლავ-
ზე სხვას რა უნდაო.

დღეს თვითონ განისვენებს მამის გვერდით.



ნანო გიორგაძე (23 წლისა) — ერთხელ თეთრწვერა მოხუცი
გამოეცხადა, შენ ხარ ნატო გიორგაძეო? ჩემთან უნდა წამოხვი-
დე ამა და ამ რიცხვშიო. იმ მოხუცმა ისევ შეახსენა 9 აპრილის წი-
ნა ღამეს თავი.



მანანა ლოლაძე (33 წლისა) — სამ საათს არ გადავაცილებდ,
აუცილებლად მოვალ, ნუ გეშინიათო, — დაუბარა მშობლებს.



ნინო თოიძე (25 წლისა) — ესიზმრა, შავ ფეხსაცმელსა და კა-
ბას იცვამდა. ნეტავი რას ნიშნავსო — ყველას ეკითხებოდა.
მეგობრებს უხაროდათ: შავი სწრაფია და ალბათ მალე გათხოვდებიო.

სურათი გადაიღო. უთხრეს, ცხრაში გამოიარეო. ცხრაში იქ-
ნებ ცოცხალი არ ვიყო, უფრო ადრე თუ შეიძლებაო.



თინა ჰნაშჩიძე (70 წლისა) — ყველას ჭირისუფალი იყო. გალაკტიონის დაკრძალვაზე ფეხსაცმელი დაკარგა, ცალი ფეხსაცმლით მაინც ავიდა მთაწმინდამდე. 1956 წლის მარტში სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. ბოლო დროს მიტინგებით ცოცხლობდა. სკამი წაიღო და იქ იჯდა. ღმერთმა ახალგაზრდის სიკვდილს ნუ მომასწროსო. მოშიშვლიეს გადაფარებოდა, ისე მოეკლათ. დაესიხმრა, გარდაცვლილმა მამამ და ქმარმა საყდარი ამიშენეს და მითხრეს, დღეიდან აქ უნდა იცხოვროს.

ღმერთს უესჩუხუხუხებს სისხდი პოპეითა სამართაჯს იოსოყს პართაჯს

მამუბა ნოზაძე (22 წლისა) — დედას რომ არ შეშინებოდა, წერილებს სწერდა — ვერ ჩამოვალ, არ შეგეშინდესო. ნეტავ საქართველოსთვის მოვკვდებოდეო, — ხშირად ამბობდა თურმე.



ნოდარ ჯამბირაშვილი (40 წლისა) — სპორტსმენი იყო, ყველას მფარველობდა. იმ ღამითაც ორი გოგონა გამოარდა ხოცვა-ჟლეტას. მესამედ შებრუნდა, მაგრამ უკან ვეღარ გამოაღწია. ძნელი საცნობი იყო ამაყი კაცი... ქრისტიანი ამას არ იზამდალ...

ზინა მარსელაძე (25 წლისა) — გადაურჩა ცხრა აპრილის ღამეს. დაიღუპა საკომენდანტო საათის შემოღებიდან ორი საათის შემდეგ.



ზაზა მჰასარულიაშვილი (35 წლისა) — სოფლის დღეობაზე თუ ამოხვალო? — ჰკითხეს მშობლიურ სოფელში. — არაო, ვერაო. — სად იქნებო? — ეგ არ ითქმებო.

სახლში გული არ უჩერდებოდა, სულ თბილისში მოშიშვლილებთან ყოფნა უნდოდა. ჭარი რომ გამოჩნდა, საცეკვაოდ ხელები გაშალა, სხვებიც აჰყვენენ... მერე სხვას მიეშველა, ის გადაარჩინა...

საქართველოს
სამხრეთი
პროვინციის
მინისტროს
განყოფილება



ელისო შიკაშვილი (25 წლისა) — ორსულ ქალს ძაღლიც არ შეუუფესო, ის კი მოხაკლავად გაიმეტეს... მამას ესიზმრა თურმე, შვილები გადაჰყავდა მდინარეზე. ელისო წყალმა მომტაცაო. ჰალათების მიერ ნატანჯი შვილის დანახვაზე დედას გული გაუსკდა.

დოღო წიწწიპაპე

სანთვად აინთქს სამშობლო
მათს სუფს წმინდას და ნუტარს

მხატვარი ლალი ლოთიაძე

სტრუპი

ბიძინა მინდაძე

ცაში წითელი მამალი აფრინდა —
კოშკზე ცეცხლმა მოიქნია ფრთები
და მახილმა ოდა-სახლებს დაუარა:
ჩვენზე კიდევ კადმოსულა მტერი!

ცაში წითელი მამალი აფრინდა —
კოშკზე ცეცხლმა ოდა-სახლებს დაუარა:
— ქუღზე კაცი! რას დაგუკალებს მტერი!

მესილე, მესრე და მევენახე,
მიწის მუშა და ნახბრაგალი,
ეველა ერთად ვართ.
სანამ ერთად ვართ,
ვერ გაიხარებს ჩვენზედ ვერავინ.






შენ საქართველოს იმედად

ნონა ჯალაღონია

შენ საქართველოს იმედად
და ვარდად გაშლილო,
ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაბა
ანრილის თვეში.
შენ საქორწილო კაბა უნდა
ჩაგეცვა შვილო,
ვარდების ნაცვლად შავი
დრომა გიჭირავს ხელში.
სამშობლოსავით სარ ამაყი,
ლამაზი, მტკიცე.
სარ ქეთევანის და
წუნეთელის
გუნის და ჯიშის.
ცრემლით კი არა, ეგ
თვალეები საუსუბ ფიცით,
არავითარი დანოქება
კროთმა და შიში.

ერის რისხვას და ხალხის
წუხილს ვინ შეაკავებს,
გზა გოლგოთისა ადრეც
ბევრჯერ გამოგვივლია.
ქართველი ქალის დროშა
ასლა არის აკვანი,
და „იაუნანა“ ეველა
ქართველ დედის ჰიმნია.
დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი
და მრისხანება,
წინაწრებივით უმკურნალე
ქვეენის იარებს,
შენი ცხრა შვილის ცხრა
პერანგი,
მტრების ჯინანე,
სამშობლოს ცანე
დროშასავით ააფრიალე!..



დათო

9 აპრილის შავ დილას დამსჯელთა ტყვიამ თვალის ჩინი წაართვა 29 წლის დათო ფაილოძეს, — ორი პაწია შვილის მამას, უგახათლებულეს და უნიჭიერეს ახალგაზრდას, საუკეთესო მამულეშვილს, კეთილ, ვაჟკაცურ, რაინდული ბუნების კაცს, ჩემი თვალის წინ, ჩემი შვილების გვერდით გაზრდილ დათოს!

უკვე თითქოს გარიდებული იყო დათო განსაცდელს, უკვე სასტუმრო „ივერიის“ ხაზთან ჩაყენებულ კორდონს ვასცილდა, რომ 12-14 წლის ბიჭის განწირული კვიცილი შემოესმა: „და მომიკლეს!“ და დაინახა, როგორ გავარდა ეს ბიჭი იქით, სადაც სულ ათიოდე წუთით დარე, იცოდა, ხელკეტებით და აღესილი ნიჩბებით ჩეხავდნენ, მოშაშაღელი ვახუშით შხამავდნენ ადამიანებს. ამის გავონება იყო, რომ დათო ადგილს მოწყდა და გაიქცა, რომ ის ბიჭი გაეჩურებინა, არ გაეშვა სასაკლაოსაკენ. და სწორედ ამ დროს უწია კორდონთან ჩამდგარი ჯარისკაცის ტყვიამ.

რატომ? რა დააშავა? რას ეროდნენ? გაუგებარია, არა?

მაგრამ, არა! ყველაფერი გასაგებია, გასაგებია, რადგან ვიცით, რა სიძულვილით სძულს სხვაზე ბატონობის მოსურნეს, თვითმპყრობელს, იმპერიული გრძნობით გაყდენილი ადამიანს თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავისუფლების წყურვილი. რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის იმას, რომ ეს ასხლექტილი, ქართული ჯიშით ბეჭედდასმული ვაჟკაცი იმ „ბრძოლის ველზე“ აღარ იყო! მერე რა, რომ იქ უკვე დაშლილი, დარბეული იყო მანიფესტაცია!

იმისთვის, ვინც პირდაპირ შუბლში დაახალა ტყვია დათოს, ის ქართველი იყო — ურჩი, უტყუბი; ქართველი, რომელიც მუხლებზე ვერ დააყენეს და ამიტომ ტყვიით მოკლეს.

„ორთავ თვალის სინათლე“ წაართვეს დათოს, მაგრამ უსინათლოდ ვერ დატოვეს — მისი თვალის სინათლეა მისი ოჯახი, მისი შვილები, მთლად საქართველო, და თქვენც; ვისთვისაც ეს სტრიქონები იწერება, ვინც, იმედია, 9 აპრილს დაღვრილი წმინდა სისხლის საფასურს გადაიხდით სწავლით, შრომით, მოყვასისადმი სიყვარულით და თავგანწირვით.

იმ ნათლისთვის იარსებეთ შვილებო, ის ნათელი ჩამოაყენეთ საქართველოში სვეტად, რისთვისაც მოხდა შწარე, დაუნდობელი 9 აპრილი.

აკაკი წერეთელი

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ევავ-უორანი ეხვეოდა
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც კუნესოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უსწრიდა.
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა! ეველა გააოცა!..
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა.
კავკასიის მალაღ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ევავ-უორანი.
მოვა დრო და თავს აიშუებს,
იმ ჯაჭვს განსწუვეტს გმირთა-გმირი,
სინარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!





თენგიზ ჩალაური

დედის ხელები

მხატვარი ზაურ დინიასაძე

ავლანეთიდან მომავალი თვითმიფრინავი შუალა-
მისას დაეშვა თბილისში. სამხედრო მოსამსახურეები
აერთოფოტის ძველი სადგურიდან გაატარეს ქალაქ-
ში, რომ უცხო თვალისათვის აერიდებინათ.

... ვიომ ავტობუსში ასვლისთანავე იგრძნო მგზავ-
რების ზიზღიანი მზერა და გაკვირვებით შეიშუშუ-
ნა. ორთაჭალაში, თავის სახლთან გაჩერებაზე რომ
ჩავიდა, ვიდაც ხანშიშესულმა კაცმა თავით ფეხებამ-
დე აღმაცერად შეათვალა და პკითხა:

— ქართველი ხარ, ყმაწვილი?

— დიას! — თავაზიანად მიუგო ვიომ.

— თუ ასეა, შეილო, ჩვენი ხალხის ჯალათების ეს
სისხლითოსონილი სამოსი რაღატომ გაცვია?!

ვიოს სიწითლემ გადაურა სახეზე. მას ხომ საპა-
ვრო მეფესანტთა ფორმა ეცვია, იმ ჯარისკაცთა ჭრე-
ლაჭრულა ტანსაცმელი, ვინც 9 აპრილს მთავრობის
სახლის წინ ბარებით დაჩენა უმწეო ქალები, ხოლო
შემდეგ გახრებით დაწამლა ათასობით უდანაშაულო
ადამიანი. ვიომ ეს ამბავი ყურმიკვრით იცოდა, რად-
გან იმ ქვეყნებში, სადაც მას ჯერ თმი და მერე სამხე-
დრო სპეციალისტად ყოფნა მოუწია, საბჭოური გა-
ხეთები სულ სხვას წერდნენ.

თავისი ბავშვობის ეროში ვიო ქურდივით შეიპა-
რა, ხის მორყეული კიბეები და დერფიანიც ფეხაკრე-
ფით განვლი და ვიდრე მშობლოური სახლის კარს შე-
აღებდა, ფეხის წვერებზე შედგა და კარკმლიდან
ოთახში შეიჭვიტა. პაპისეულ ძველებურ სავარძელში

დედას ჩასძინებოდა, ჭადარა თმა მხარზე გადმოჰფე-
ნოდა, მის წინ კი გამოსურთველი ტელევიზორი ციმ-
ციმებდა.

ვიომ ფრთხილად შეაღო კარი, მაგრამ დედა შე-
კრთა და კარისაკენ შემოტრიალდა. ვიოსათვის სრუ-
ლიად მოულოდნელად უცარი შიშითა და გაავებით
გაჰკვესა მისმა თვალებმა... აღბათ ასეთი სახე ჰქონ-
და მათუგლის აღმწრდედ დედა მველ აკილას, რო-
დესაც ის თავის ლეკვებსა და ჩვილ მათუგლის მრისხა-
ნე და სისხლმოსწერებელი შერხანისაგან იცავდა.
— დედა! — შესძახა შემკრთალმა ვიომ, — მე ვარ,
ვერ მიცანი?!

— შეილო, ვიორგი, — უღწონდ ამოიკვენსა დე-
დამ და ძალაწართმეულმა სავარძლიდან ჩამოცურე-
ბა დაიწყო.

ვიომ სწრაფად მოისროლა ზურჯანთა და ნახე-
რადგონწართმეულ დედას სავარძლის კიდესთან მი-
უსწრო, ხელები შეაგება და გულში ჩაიკრა.

კარგა ხანს იყვნენ ასე გარინდებულნი შუა ოთა-
ხში მუხლებზე დაცემული დედა-მეილი, როგორც
ორი მლოცველი. დედას ვიოს მკლავებიდან ხელები
გაქნთავისუფლებინა და ფრთხილად, ძალიან სათუ-
თად ეფერებოდა სახეზე შვილს. მაგრამ მშობლის მუ-
დამ თბილი და მოსიყვარულე ხელები ვიოს რატომ-
დაც უცხო და უხეში ეჩვენა.

ანამ, ვიოს უმცროსმა დამ, ძმის დაბრუნება შუა
ძილში იგრძნო და საძინებელი ოთახიდან ფეხშიშ-

ველი გამოტყაუნდა.

მაგიდასთან მიმჯდარი ვიო ვახშამს შეეცქეოდა, წინ დოქით ღვინო ედგა და ანამ მხოლოდ ძმის გაღიმებული სახის დანახვა შეძლო.

— გიო! — სინარულით შეპკვილა და ხელებგაშლილი მისკენ გამოექანა, მაგრამ როგორც კი მაგიდას შემოიურბინა, მხეცმხეფეთებული შეველივით შეკრთა და გვერდზე გახტა.

გიო დიწჯად წამოიღდა, ხელები გაშალა და გაუღიმა:

— მოდი, ანუკი, — სიყვარულით მოუხმო, — მოდი, გოგო.

ანამ ჯოტუდა გააქნია თავი, ტურნები გაბუტულვით გაბუსხა.

— ჯერ ეგ ჯალათის ფორმა გაიხადე, — თითის მიშვერით მიანიშნა, — მაგ სისხლიან ტანსაცმელს ვერ ჩაეფუტები. ხელებგაშლილი ვიო სახტად დარჩა. «როგორც ჩანს, აქ მართლაც რაღაც საშინელი უხედურება მოხდა» — გაიფიქრა მან.

ის ღამე მოვლმა ოჯახმა თეთრად გაათენა. დედა და ანა მორთეობით და ტირილ-ქვითინით უყვებოდნენ გაფითრებულ ვიოს, თუ რა მოხდა ამ ორი წლის წინ, 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში.

— ანთებული სანთლებით ხელში ვიდექით მთაგრობის სახლის წინ, შვილო, — ვვებოდა დედა, — იქაურობას რა მომაცილებდა, ჩვენი ანუკიც ხომ მოშიმ-

შლივთა შორის იყო. როცა ხალხს ხელკეტებით დაერივნენ, ვილაცამ იფერია: «ქალებო, დასხედით, თქვენ არას დაგიშავებენო». ბევრმა დაეინოქეთ, ზოგი ვლოკულობდით, ზოგი გალობდა, მაგრამ... ჩემი თვალით ვნახე ის უღმობელი სოცვა-ჟლედა, ჩემი გვერდით დაჩენეს თექვსმეტი წლის გოგოცა და ორსული ქალიც...

დედას მღვღვარებისაგან ხმა ჩაუწყდა, წყალი მოსვა, ცრემლი მოიქმინდა.

— მეომარი ჯარისკაცი ასე არ მოიქცეოდა, დედა! — თქვა ხმაჩახლუნელმა გიომ.

— მოიქცა, — დამაჯერებლად შეეხიტყვა დედა, — მე იმან მიხსნა, რომ როდესაც ის პირტიტველი ჯარისკაცი მომეჭრა, ამგვარი ტანსაცმელი რომ ეცვა, როგორც შენ, და ნაჯახივით ალესილი ბარი მომიქნია, სანთელი გადაეაგდე და ხელები სახეზე ავიფარე...

— არა, არა დედა, ჯარისკაცი არ გაიმეტებდა უიარაღოს და ისიც ქვლს!

დედა მიუახლოვდა ვიოს და მიძიმედ დააწყო მაგიდაზე ხელები. საცოდავად დაკრუნჩხულ ხელებზე უკვე შეზორცებული ღრმა ნაიარვეი აჩნდა.

გიომ თვალი ვეღარ მოსწყვიტა დედის დანახორებულ ხელებს. აი, თურმე რატომ მოეჩვენა ისინი წუხელ უცხო და უხეში... ცოტა ხანს ასე გაშტერებით შესტკეროდა, მერე ტურნებით დაეკონა და ბაღღვით აქვითინდა.




მოთმინება

დავით აკიხიშვილი

გუშმათები რეკენ
ღაგუბული რისხვით,
ცრემლიანი ღღვა,
ცრემლიანი წირვა,
მაგრამ საქართველოს
სხვა გზით ვერ
ღავიხსნიო —
მხოლოდ მოთმინება,
მხოლოდ თავგანწირვა!

საქართველო

მურმან ლვანიძე



მხატვარი ელზარ აგოკაძე

ჩემო თვალნათულო, ჩემო სანატრულო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა დავით-მეფე — აღმაშენებელი,
 ყოფილან ოპიზრები — განსტყერებელი;
 ყოფილა მორეკილი, ყოფილა ცურტაველი,
 რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...
 ჩემო მიძინო და ჩემო ფრთხანთულო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა ნიკოფსიით — დარუბანდამდე
 გატყენებული და გამოტყენებული;
 რტობეგამილი და გამოჩინებული,
 ყოფილა ორ ზღვან-შუა აღმოცენებული.
 ფეე, საქართველოს ჰეოლია ვანლები!
 თამარს უკრფია სულ ოქროს ვანლები!
 ტყერი გვიწაღდია, ისე გვიზარდია,
 რომ გავმზადებულვართ ასალ ბისანტიად.
 მკრამ უცაბედად მატლი არეულა,
 ბორბალი უკუღმა დატრიალებულა.
 ჩვენთვის მონღოლია ჰირველი სასჯელი,
 მონღოლს მოჰყოლია თურქი და სწარსელი.
 ტურფა საქართველო ეორნებს წაუღიათ,
 სწარსეთს და ოსმალეთს შუაზე გუუევათ.
 ჩამილია თვალი და ჯაჭვი ჩანდვეულა,
 ივალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.
 ოთს მეფეს
 სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
 ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია,
 — რა დროს ლექსიაო, მოუკვდეს ჰატრონი!
 სმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატრონი...
 ამას მოჰყოლია:

— „ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“

ჩემო თვალნათულო, ჩემო ფრთხანთულო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

ზღვასკობი

სიონის ეზოში ტყვა არ არის... დღეს ორმოცია... დღეს საბოლოოდ ტოვებენ მათ-ზე მგლოვარ მიწას, ზეციურ არსთა დასს ერთიან წმინდა სულები.

მოდიან, მოდიან ადამიანები, რომ კიდევ ერთხელ დახართონ თავი დაღუპულთა წინაშე, კიდევ ერთხელ აანთონ სანთელი ზღვაყვავილებში სანთლებივით დანთებულ წმინდა სახეებთან...

მოდიან მღუმარედ, წენარად... თითქოს ქარიშხლის გადაკლის შემდეგ ჩამცხრალი ზღვის ტალღები მოშრიანდებენ... მაგრამ დროდადრო, თითქოს ქაფს ივდებს, იქორებოთ ტალღა, — მალღა იზიდებთ მჯილად შეკრული ხელები...

როგორც ზღვის სიღრმეში ჩადუმებული მშფოთვარება წამიერი ამოხვრასავით ამოზიდავს ხოლმე ზოფჯერ ტალღის ფაფარს, ისეა აქაც — გულში ჩამღვარი ჯავრი დროდადრო მუშტებად ამოს კდება ზეცისაკენ...

მაგრამ აი, ერთი ტალღა შეფვრნდა, ვიღაცას წააწყდა... რატომ დგას ეს ადამიანი ასე გაუნძრევლად? რატომ თუნდაც ნახევარი წამით აფერხებს მოძრაობას, რატომ გვიძიულებს გვერდი აუჯართ?

ახალგაზრდა ოდნავ აბრუნებს თავს, თვალეში წუმი შუქი უდგას; დგას მყარად, გაბარჯღული, და ზემოდან ეფარება ამოტვილი ასფალტში გამოჩრილ რაღაც მილს, რომელსაც თუ ფენი წამოჰკრა ეინმემ და წაიქცა, შეიძლება ადამიანების ზღვამ გადაუაროს თავისდაუნებურად; დგას წუმი შუქით სახვე თვალებით, მღუმარედ... ზღვასავით მშფოთვარე გულისთქმას იოკებს, რომ სხვებს მისცეს გზა იქით, სადაც სანთლებით ანთია წმინდა სახეები, და მათ წინაშე დანთებული სანთლების ალი ღვლავს ნიავის სუნტკვით...

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ლალ სულაგზირიძე

უფალო, შვებით ეოხეო
ღანდებს მოწამლულ-მიწამლულს.

აქეთ

გზა კრწანისს უერთდება,

იქით

უერთდება წიწამურს.

საქართველოო, ფეხაერეფით

აქ მარად მივალთ და ღვღვებით.

ტიტები,

ტიტები,

მიხაკები!..

სანთლები,

სანთლები,

სანთლები!..

წიგნი „ქართლის ცხოვრება“

გიორგი ლონია


გაშაღე... ეგელა ფურცელი
 არი ფოლადის ნაცარი,
 დამსხვრეულ სმაღლა კღრიალი
 დეკაცთა ნამამაცარი.

გაშაღე... ეგელა ფურცელი
 გულზე ნაწოლი ლოღია...
 დოღბანდიანი ჯარები
 სიკვდილის ჰირით მოღიან.

შავი დროშები ნისლივით
 სამშობლოს დაფინება,
 სმაღს სისხლის ორთქლი აუვა,
 სიკვდილით დაიკბინება...

საფლავად გაემსადება
 ციხე-გალავანის თხრილები, —
 ქალი და ბავშვი აწევა
 კოჭიდან გადმოურილები,
 ისმის ტყვეების კღვიელი,
 კვამლი ბღავიან სარები...

ქერქებვანდილი ხეები,
 დამწვარი ნასახლარები,
 და რაც თმას ეაღუხე აუენებს,
 რაც მწარედ გვემანსოვრება, —
 ქართლის მკვლელობის მველ ამბებს
 უწოდეს „ქართლის ცხოვრება“.



მორის ფოცხიზვილი

დღე დგება უტუვი და უხვუვი,
მეწამულ ბილიგზე ვდგები, —
ვანუქოთ ერთმანეთს სიცოცხლე,
გავუთხოთ ერთმანეთს ძელები.
თქვენს ლამაზ ფიქრებში ვაჭრები,
თქვენს სარემელს ვაწელები თროლვით...

ვანუქოთ ერთმანეთს წვიპები,
ვანუქოთ ერთმანეთს თოვლი.
ეველას სიყვარულში კიტელებით,
გლოცავთ და მიძრება ეელი, —
ვანუქოთ ერთმანეთს ტიტუბი,
ვანუქოთ ერთმანეთს ცრემლი!

გავუცოთ ერთმანეთს უკლებელი,
ხავეჭილოთ ერთმანეთს ხელი, —
ავუვსოთ ერთმანეთს გულები,
სიკრძის და სიცოცხლის რწმენით!
მ ი ს ა მ ლ ე რ ი :

ვანოთ ერთმანეთი ღვთის ნებით,
სიტუვა გამოვანხოთ თბილი, —
ლოცვით მიმოვფანტოთ ნისლები,
ფარად ავეფაროთ თბილისს!
ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,
შეუწუწოთ ერთმანეთს ხმები,
ვანუქოთ ერთმანეთს ზღანრები,
ვანუქოთ ერთმანეთს წლები.

ო, სისლო, რა უცებ წეაღდები,
ო, გულო, რა უცებ თვრები,
ვანუქოთ ერთმანეთს თვალები,
ვანუქოთ ერთმანეთს ფრთები.
სორსს ცხელი სიმღერით ვიღადრავ,
ვფხისლობ და ვხურხულებ: — ამინ!
დავუთმოთ ერთმანეთს დილა და
დავუთმოთ ერთმანეთს ღამე!
მ ი ს ა მ ლ ე რ ი :



69/62

კონკრეტული სიმღერის მუსიკა

პირი სვიტია

ჭიჭიჭი

გამოცემის 1904 წლიდან.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გა-
მომცემლობა „საწიგნო“

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: მუშარფ აბო-
ძაძე, მანანა ანთიმე, ლეონარ პაპუა,
სოსილე გომეზგინიძე, მერი დავითა-
შვილი, სოლომონ დუშინაშვილი,
ლევინო მრავა, გულა ლოსაბერიძე,
მეჰვალა მგებელიშვილი, ჯორჯა ნა-
ღორცია, თინათინ ნალაღიძე (პ/მც.
მღებანი), ბიჭო ძეგლაძე, ბიჭო ბი-
ბინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
ბიორგამი რედაქტორი

ტექნიკური რედაქტორი
ანდო წიგნაძე

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის,
სტამბის — თბილისი, კოსტავას 14. ტელ:
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;
პ/მც. მღებანის 93-10-32, 93-98-18; საშმ.
რედაქტორის — 93-98-18; განყოფილე-
ბების 93-98-19.

გაღებულ საწყობად 11.02.91 წ. ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 20.04.91 წ., ქა-
ღალის ზომა 60×90¹/₈, ფიხ. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკეთა
№ 308.

ჟურნალი გააფორმა
ბიორგამი რედაქტორი

«დილა» («Утро»)
Отпечатано в типографии издатель-
ства «Самшобло»
Главный редактор Реваз Инанишви-
ли (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
141.500 Заказ № 308

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ «სა-
ქართველოს» რედაქცია აცხადებენ კონკურსს რეს-
პუბლიკის მოსწავლეთა და ბავშვთა შორის თემაზე
«სისხლიანი ამბილი» (მოთხრობა, ნარკვევი, ნახა-
ტი).

კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებები გა-
მოქვეყნდება გაზეთ «საქართველოში», ჟურნალ
«დილაში» და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

საკონსურსო ნაწარმოებები დევიზით «სისხლი-
ანი ამბილი» უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამარ-
თით: თბილისი, 380009, ვაზუგის ქ. № 17, საქართ-
ველოს სახალხო ფრონტი; ან თბილისი, 380062, ილია
ჭავჭავაძის გამზირი № 35, გაზეთ «საქართველოს»
რედაქცია.

ამ ნომრის მონოგრაფი გადართი-
ცხება მიწისძვრით დაზარალებუ-
ლთა დახმარების ფონდში.